სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

12 აპრილი 2024

GOV N 692/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ტყის სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული სამეურნეო ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის I, II, III და IV ხარისხის (სოჭის და ნაძვის ჯიშის მრგვალი ხეტყის (მორის)–სულ - 206.49 მ³) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N232) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 78-ე, 79-ე, 80-ე, 82-ე, 83-ე, 84-ე და 86-ე მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 16 თებერვლის დასკვნის N001002924, „სსიპ- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხეტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანების, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2024 წლის 11 აპრილის N-6179 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N232 სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის მართვას დაქვემდებარებული მესტიის სატყეო უბნის, ჯორკვალის სატყეოს N7 კვარტალში (ლიტ: 11) ტყის სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული სამეურნეო ჭრის შედეგად დამზადებული 206.49 მ³ წიწვოვანი სახეობის (სოჭი და ნაძვი) I, II, III და IV ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხეტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი. N-34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დავით დამენია

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო